თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3001729

ნომერი: AR1462311

თარიღი : 08.12.2016

გაცემის თარიღი : 16.12.2016

გაცნობის თარიღი : 19.12.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება სან-ზონა , მშენებარე სავაჭრო ცენტრის მიმდებარედ, (ნაკვ. 10/044) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მარინე ქოჩლაძე პ/ნ 01003003288
- თბილისი მუხიანი IVა მ/რ კორ. 4 ბ. 99

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1462311 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ითხოვთ სამსახურის #2970165 ბრძანების ბათილად ცნობას და ასევე #AR1460428 განცხადებით მოთხოვნილი საკითხის განხილვისას ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2016 წლის 19 ნოემბერს #2970165 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, დასახლება სან–ზონა, მშენებარე სავაჭრო ცენტრის მიმდებარედ, (ნაკვ. 10/044), თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ #01.12.07.010.044) მრავალფუნქციური კომპლექსის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.

2016 წლის 5 დეკემბერს #AR1460428 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა მოქალაქე ბადრი ლომთათიძემ და მოითხოვა მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელება წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, #2985670 გადაწყვეტილებით სამსახურის მიერ მასში გამოვლინდა გარკვეული სახის ხარვეზები, რის გამოც ამ ეტაპზე აღნიშნული ნებართვის გაცემა არ მომხდარა.

ამასთან გაცნობებთ, რომ 2016 წლის 12 დეკემბერს #AR1463191 ელექტრონული განცხადებით სამსახურს კვლავ მომართა მოქალაქე ბადრი ლომთათიძემ და მოითხოვა კორექტირებულ პროექტზე მშენებლობის ნებართვის მიღება , რომლის საფუძველზეც სამსახურში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

თქვენი შეტყობინება მიღებულია ცნობის სახით და ობიექტზე ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

სამსახურის მიერ #2970165 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტი გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მისი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა #7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

დამატებით გაცნობებთ, აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge